# ხელშეკრულება №13

ქ. ყვარელი 19 თებერვალი 2013 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი დავით ქეცხოშვილის სახით, ერთის მხრივ და შპს „თეგეტა მოტორსი"-ს დირექტორი გიორგი მშვილდაძე შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული მეორეს მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე

## 1. ხელშეკრულების საგანი

ექსკავატორ-დამტვირთველი „ JCB"-ის ავტოტექმომსახურების, 40 ლ. ჰიდრავლიკის ზეთის შეძენა.

## 2. სამუშაოს შესრულების ვადები და ღირებულება

2.1. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადაა 19/02-დან 22/02-მდე

2.2. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 330 (სამასოცდაათი) ლარს.

## 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარებში, „მიმწოდებლის" მიერ ფაქტიურად მოწოდებული საქონლის დამადასტურებელი ფორმა №2-ს წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1. "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება.

4.2. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1. მიაწოდოს 1.1 პუნქტში აღნიშნული საქონელი

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების („შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი პირების) ხელისმოწერის შემდეგ.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებული კვირისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **2%** ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **10%** პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 7. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა

## 8. დავათა განხილვის წესი

8.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

## 9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ამავე ხელსეკრულების მეორე პუნქტში მითითებული სამუშაოს დასრულების ვადას.

## 10. მხარეთა რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ყვარლის მუნიციპალიტეტი | შპს „თეგეტა მოტორსი" |
| მისამართი: ქ. ყვარელი კუდიგორის ქ 1 | ქ.თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5 |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| სს. „ლიბერთი" ბანკის ყვარლის ფილიალი | სს „თი ბი სი" ბანკი |
| ა/ნ – GE31LB01 2014 5044 0960 00 | GE80TB0600000024467853 |
| საიდენტიფიკაციო კოდი - 241578574 | საიდენტ. კოდი 202177205 |

ყვარლის მუნიციპალიტეტის
გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

დ. ქევხიშვილი

შპს „თეგეტა მოტორსი"-ს
დირექტორი:

გ. მშ[illegible]